 п 14/834 PX 4569/1

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო

# გამარტივებული წარმოება
# გაიმარტივე ვალის დაბრუნება!

## ➢ გამარტივებული წარმოება - აღსრულების ეროვნული ბიუროს ახალი მომსახურება

გამარტივებული წარმოება გაძლევთ უნიკალურ შესაძლებლობას მოაგვაროთ თქვენს მიმართ არსებული ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი დავა მარტივად, ეფექტურად და მცირე დანახარჯით. გამარტივებული წარმოება დასაშვებია ფულადი დავალიანების გადახდევინების მოთხოვნაზე, რომელიც არ უკავშირდება საპასუხო ვალდებულების შესრულებას.

## ➢ ფულადი მოთხოვნის დაკმაყოფილების აპრობირებული მეთოდი

გამარტივებული წარმოების მომსახურება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია დანერგილი და აპრობირებული. საერთაშორისო, კერძოდ, შვედური და ფრანგული პრაქტიკის გათვალისწინებით, აღსრულების ეროვნული ბიურო გთავაზობთ სრულიად ახალ მომსახურების ფორმას, რომელსაც კლასიკური გაგებით გამარტივებული წარმოების პროცედურისგან განსხვავებით უამრავი გამამდიდრებელი კომპონენტი გააჩნია.



www.nbe.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მხარეების მაღალი ჩართულობა და ორმხრივად მისაღები შედეგი

წარმოების პროცესში, მოვალე მხარის ინფორმირება მის წინააღმდეგ მიმდინარე საქმის შესახებ ხდება შეტყობინების პირადად ჩაბარების გზით. მედიაციაში დახელოვნებული სპეციალისტების, ქეის მენეჯერების საშუალებით მხარეებს უჩნდებათ რეალური შესაძლებლობა მოილაპარაკონ და მიაღწიონ კონსენსუსს.

## გამარტივებული წარმოების მომსახურების მისაღებად საჭიროა:

აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარმოადგინოთ ვალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, ხელშეკრულება, ხელწერილი ან შედარების აქტი და გადაიხადოთ კანონმდებლობით დადგენილი საფასური.

## ინფორმაცია სამართლებრივი შედეგების შესახებ

- დავალიანების ოდენობასა და დაფარვის პირობებზე მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მტკიცდება მხარეთა მორიგების პირობები.
- ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ გამოიცემა მოთხოვნის სრულ ოდენობაზე თუ რესპონდენტი არ განახორციელებს მისთვის პირადად ჩაბარებულ შეტყობინებაში მითითებულ არცერთ მოქმედებას, ასევე აღიარების ან მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში.
- ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ ძალაშია გამოცემის დღიდან. აპლიკანტის მიერ ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ შეიძლება მიექცეს აღსასრულებლად მისი გამოცემიდან 5 წლის განმავლობაში.

**გამარტივებული წარმოება - ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავის მოგვარების ეფექტური მეთოდი!**

www.nbe.gov.ge